შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯია
HIGH SCHOOL GEORGIA – LLC

# კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები

## 1. ბიზნესის ადმინისტრირება: დასაქმების სტატისტიკა




შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯია სისტემატურად ატარებს კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევას. ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა გამოკითხვის მონაცემთა ანალიზი მიუთითებს, რომ ბოლო ორი წლის მონაცემებით დასაქმების ტენდენცია აშკარად გაუმჯობესებულია. კერძოდ, გაზრდილია როგორც კურს-დამთავრებულთა რაოდენობა, ისე დასაქმებულთა რაოდენობა.

კურსდამთავრებულთა უდიდესი ნაწილი (საშუალოდ 70 პროცენტზე მეტი) სახელმწიფო და კერძო სექტორშია დასაქმებული.




თუმცა, აღსანიშნავია, რომ 2016-2017 წლების გამოკვლევით ასევე დადგინდა, რომ უს ჯორჯიას კურსდამთავრებულები აქტიურად აფუძნებენ საკუთარ ბიზნესს, რაც თავის მხრივ, სამუშაო ადგილების შექმნას უწყობს ხელს. სულ, 2016-2017 წლებში გამოკითხულთაგან 11 კურსდამთავრებული იყო დაკავებული საკუთარი ბიზნესით.

## 2. ჰუმანიტარული მეცნიერებები: დასაქმების სტატისტიკა




შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯიას ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა კვლევამ გამოავლინა, რომ 2012-2017 წლის გამოკითხულ კურსდამთავრებულთა 80 პროცენტზე მეტი დასაქმებულია. 2013 და 2016 წელს გამოკითხულ კურსდამთავრებულთაგან თითო-თითო მაგისტრატურაში აგრძელებდა სწავლას.




საგულისხმოა, რომ 2013-2017 წლების ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის გამოკითხულ კურსდამთავრებულთა გარკვეული ნაწილი საკუთარი ბიზნესით იყო დაკავებული: 2 მათგანი 2015 წელს, ხოლო თითო-თითო 2013 და 2016 წლებში (2015 წელს ანალოგიური კვლევა არ ჩატარებულა).